№2136 2015 წლის 6 ოქტომბერი ქ. თბილისი

შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ მიერ ხულოს მუნიციპალიტეტში მდებარე სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძიზე მდებარე სათხილამურო ტრასების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიამ“ (საიდენტიფიკაციო კოდი: №215096367), 2015-2016 წლების განმავლობაში, განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 2015-2016 წლების სახელმწიფო ბიუჯეტიდან შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიისთვის“ გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში და

საკუთარი შემოსავლებით შემდეგი მომსახურების, სამუშაოსა და საქონლის სახელმწიფო შესყიდვა:

ა) ხულოს მუნიციპალიტეტში მდებარე სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძიზე და ასევე შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ მართვაში შემავალ სხვა სამთო-სათხილამურო კურორტებზე არსებული საბაგიროების გამართული მუშაობისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების, საცხებ-საპოხი მასალების, ტექნიკური მომსახურებისა და ტექნიკური დათვალიერების და აღნიშნულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად საჭირო მომსახურება;

ბ) ხულოს მუნიციპალიტეტში მდებარე სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძიზე და ასევე შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ მართვაში შემავალ სხვა სამთო-სათხილამურო კურორტებზე არსებული სპეციალური ტექნიკისთვის (თოვლსატკეპნი მანქანები) საჭირო სათადარიგო ნაწილების, საცხებ-საპოხი მასალებისა და ტექნიკური მომსახურების და აღნიშნულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად საჭირო მომსახურება;

გ) კობი-გუდაურის მთიანი რეგიონის, როგორც კურორტის, განვითარების გენერალური გეგმის დამზადების მომსახურება.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელი ხელშეკრულებების მიმართ არ გავრცელდეს ამავე ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები.

3. შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიას“ ეთხოვოს, უზრუნველყოს ხულოს მუნიციპალიტეტში მდებარე სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძიზე არსებული სათხილამურო ტრასების მოვლა-პატრონობა, კეთილმოწყობა და მათთან დაკავშირებული ყველანაირი მოქმედების განხორციელება და კურორტის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა სამუშაოების ჩატარება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**